შესაბამის კანონთან ანაზღაურების შესაბამისობაში მოყვანა თუ მხოლოდ ხელფასების ზრდის დამტკიცება

საკრებულოს სხდომის ძირითად საკითხზე გამართულ დებატში დეპუტატებმა ერთმანეთი სიტყვიერად შეურაცხყვეს

თემურ მარშანიშვილი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 18 იანვრის რიგგარეშე სხდომის მთავარ საკითხზე („ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გამართული დებატისას დეპუტატებს გოჩა კილაძესა - „ქართული ოცნებიდან“ და ბესო ქათამაძეს - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ერთმანეთი გვარიანად შემოელანძრათ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის გია მამაკაიშვილის მოხსენების მოსმენისა და გაცნობის შემდეგ დეპუტატ ბესო ქათამაძისათვის გაუგებარი დარჩა, ხელფასების ზრდასთან დაკავშირებით რა შუაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლი.

ბესო ქათამაძე: ...ეს 24-ე მუხლი განსაზღვრავს ხელფასებს, თუ რაშია საქმე რომ ამ მუხლით ვიზრდით ხელფასებს? კითხვა მაქვს ყველასთან - რამ განაპირობა ხელფასების ასეთი ზრდა იყოს? გუშინდელთან შედარებით ხვალ ვინმე უკეთ იმუშავებს და მოსახლეობას პრობლემები მოუგვარდება? რაშია ამისი არსი, ასე შეხმატკბილებულად, მთელი ქვეყნის მასშტაბით რომ ზრდა არის ყველა მუნიციპალიტეტში და ყველაფერ ამას პრაქტიკულად ოზურგეთი აგვირგვინებს ამ საღამოს? ვერ გავიგე, რაც ან წინა მოწვევის საკრებულოს ან გამგეობის დროს იყო, იმაზე მეტი უკეთესობა იქნება ჩვენი მოქალაქეებისთვის, თუ რა ხდება?!

გია მამაკაიშვილი: საქართველოს კანონი ყველა საჯარო დაწესებულებისათვის, მათ შორის ჩვენთვისაც, აუცილებელია. გარდა მაგისა, მოგეხსენებათ, ეს საკითხი განსაკუთრებით მტკივნეულია იმ მუნიციპალიტეტებისათვის, რომლებიც გაერთიანდნენ, შესაბამისად რიცხოვნობა გაიზარდა, საკრებულოში ახალი ნორმატიული აქტებია, რომლითაც ფრაქციების ხელმძღვანელებს დაემატათ მოადგილეები. ყველაფერი ეს შესაბამისად მოქმედებს შრომის ანაზღაურების მუხლზე, ანუ იწვევს მის ზრდასაც. გარდა ამისა,ჩემს სუბიექტურ აზრსაც ვიტყვი: ჩვენს ქვეყანაში ინფლაციასთან და საბაზრო ფასების ზრდასთან დაკავშირებულ მიმდინარე პროცესებს, მე მგონი, გაგებით მოეკიდა ჩვენი ხელისუფლება, და კიდევ პლუს ამას, ერთიანი გახადა ყველა საჯარო მოსამსახურის შრომის ანაზღაურებისადმი მიდგომა. მხოლოდ სარგოზე არ არის ლაპარაკი, აქ არის იგივე დანამატების თემა, ჯილდოს საკითხი, ყველა გაწერილია და დაწერილია ფაქტიურად სამი წლის წინსწრებით, თუ ჩვენ დღეს მივიღებთ ამ პროექტს, უძლურნი გავხდებით სამი წლის განმავლობაში რაიმე ცვლილება შევიტანოთ ჩვენი შრომის ანაზღაურების მუხლში. ეგ არის ჩემი, როგორც ეკონომისტის, პოზიცია, იურისტებიც არიან აქ და ალბათ იტყვიან, რამ გამოიწვია, ვთქვათ, ამ კანონის აღსრულება.

გიორგი ღურჯუმელიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ბატონო ბესო, 24-ე მუხლი, განმარტავს, რომ საკრებულო თავის უფლებამოსილებას წარმოადგენს თანამდებობის პირთა, საჯარო მოსამსახურეთა და ა. შ საშტატო ნუსხების დამტკიცებასა და სარგოების განსაზღვარასთან დაკავშირებით. ამიტომ არის ეს პრეამბულა აქ.

ბესო ქათამაძე: ეს კი, გავიგეთ, მაგრამ აქ არის ძირითადი ნაწილი ხელფასების

გვ-3

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 3 (10248) 22 იანვარი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

რეპორტაჟი ბახმაროდან



გვ-8

ძველი და ამჟამინდელი ხელისუფლების საყურადღებოდ

ცდებით, ბატონებო, თუ ფიქრობთ, რომ „ბელარუსს“ მინდობილ ოჯახზე ბელარუსი იზრუნებს, პიატკოვსკების ოჯახის გადარჩენაზე პასუხისმგებლობა უპირველესად, ხელისუფლებას უნდა აეღო და ხელისუფლებამ უნდა აიღოს

თემურ მარშანიშვილი

სოციალურ თემაზე წერილის მეტი რა მომიმზადებია, მაგრამ ასეთი უკიდურესად გაჭირვებული და წყალწაღებული ოჯახი ნამდვილად არსად შემხვედრია, თანაც სად, სოფელ ლიხაურში, სადაც ყველაზე ნაკლებად მოველოდით. როგორც ჩანს, სოციალურად გაღატაკებული პიატკოვსკების მრავალშვილიანი ოჯახი, ძირითადად, წინა მთავრობისგან ჩამოწერილი, ამორტიზებული „ბელარუსის“ ტრაქტორის მოიმედე ყოფილა წლების განმავლობაში, „ბელარუსმა“ კი, როგოც რამაზ და ირინა პიატკოვსკების მეზობლები ამბობენ, კარგა ხანია, ჩაილურის წყალი დალია და მთელი ჯალაბი მშიერ-მწყურვალი დატოვა.

ოჯახის დიასახლისის, ქალბატონი ირინას თქმით, 12 იანვარს მიიღეს შეტყობინება, რომ მათი სარეიტინგო ქულა უმნიშვნელოდ, 4 090-ით შემცირდა და 81 930 შეადგინა, ეს მაშინ, როცა 2013 წელს ოჯახის სარეიტინგო ქულა მხოლოდ 21 810 შეადგენდა, ოთხ წელი-

გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისავან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა ფიცის დადების საზეიმო ცერემონია გაიმართა

17 იანვარს, საქართველოს უზენაეს სასამართლოში, მოსამართლეთა ფიცის დადების საზეიმო ცერემონია გაიმართა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე ფიცი საზეიმოდ დადო 15-მა მოსამართლემ, რომლებიც საქართველოს საქალაქო და რაიონულ სასამართლოებში შეუდგნენ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეების უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგნენ ოზურგეთელები **ხათუნა ჯინორია** და **თინა ვაშაყმაძე** .საზეიმო ფიცის დადების ცერემონიალს უძღვებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ნინო გვენეტაძე,** რომელმაც მისასალმებელი სიტყვით მიმართა საზეიმო ცერემონიალის მონაწილეებს.

შპს „სატისი“ სოფლებში სასმელი წყლის ლაბორატორიულ კვლევას განაგრძობს

შპს „სატისის" თანამშრომლები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბებსა და სოფლებში სასმელი წყლის ლაბორატორიულ კვლევას ატარებს. ამჯერად მათ დაბა ნასაკირალში მოსახლეობის საცხოვრებელ სახლებში წყლის დაქლორვის ხარისხი და ქიმიური მაჩვენებლები შეამოწმეს.

თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ლაბორატორიაში გადამოწმდა წყლის ნიმუშები, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ მოსახლეობას ეკოლოგიურად სუფთა, გაფილტრული სასმელი წყალი მიეწოდება.

შპს „სატისი“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებს ლაბორატორიულად შემოწმებული, ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფს.

ძველი და ამჟამინდელი ხელისუფლების საყურადღებოდ

ცდებით, ბატონებო, თუ ფიქრობთ, რომ „ბელარუსს“ მინდობილ ოჯახზე ბელარუსი იზრუნებს, პიატკოვსკების ოჯახის გადარჩენაზე პასუხისმგებლობა უპირველესად, ხელისუფლებას უნდა აეღო და ხელისუფლებამ უნდა აიღოს

წადში კი 86 320-მდე გაიზარდა. საინტერესოა, სოციალურად დაუცველმა პიატკოვსკებმა რა იშოვეს ასეთი ოთხი წლის განმავლობაში? თუმცა, რაც იშოვეს, ფოტოებზეც ნათლად ჩანს. რეიტინგის მატება ადვილი ყოფილა, კლებაა თურმე ძნელი. ადრეც გვითქვამს, რომ სარეიტინგო ქულის მინიჭების მეთოდოლოგია მედიისათვის არ არის ხელმისაწვდომი და ამდენად საზოგადოებისათვის ამოუხსნელ რებუსად რჩება.

პიატკოვსკების უფროსი ქალიშვილი 22 წლის სალომე, თავის ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად, ამ ოჯახში განაგრძობს ცხოვრებას. დანარჩენი ქალიშვილებიც – 19 წლის სოფიკო, 15 წლის ნანა, 12 წლის თამთა, 7 წლის ანასტასია და 4 წლის მაია მშობლებთან არიან. ექვსიდან ოთხ ბავშვს ეძლევა სოციალური 10-10 ლარის ოდენობით, მრავალშვილიანობისთვისაც იღებენ 25-25 ლარს ამდენივე ბავშვზე, ანუ სოციალურად დაუცველ ამ კონკრეტულ ოჯახს სახელმწიფო ფინანსურად ყოველთვიურად 140 ლარით ეხმარება.

ჰყავთ ერთი ძროხა და ერთიც გოჭი. 2 500 კვადრატულ მეტრ საკარმიდამო ნაკვეთში ურგიათ 57 ძირი თხილი, საიდანაც შარშან, აზიური ფაროსანას „წყალობით“, 20 ლარის შემოსავალი მიიღეს. ამავე მავნებლის მიერ განადგურებულ 3 000 კვადრატულ მეტრამდე ყანაში მოწეული სიმინდიდან კი ნალიაში რამდენიმე ტაროღა შემორჩათ გამოკიდული.

როგორც ქალბატონმა ირინამ გვითხრა, ოროთახიანი ფარღალალაფანჯრებიანი სახლის გადასახურად შარშან ადგილობრივმა ხელისუფლებამ სახურავისთვის საჭირო ხის მასალა და 50 კუბური მეტრი თუნუქი გამოუყო. მეზობლებმაც ხელი წამოუკრეს და ერთობლივი ძალებით გადახურეს.. ოჯახისა და სახლის მდგომარეობა უფრო საფუძვლიანად რომ შეესწავლად, ალბათ, მხოლოდ გადახურვით არ შემოიფარგლებოდნენ, რადგან ორივე ოთახში, მიუხედავად იმისა, რომ ერთში ბეტონია დასხმული და მეორეში კაფელია დაგებული, გრუნტის წყალი ისე ატანს, რომ ყველაფერი სველი და დანესტილია, რაც კი იატაკთან არის შეხებაში.

მრავალშვილიან დედას, ირინა პიატკოვსკის, როგორც თვითონ ამბობს, პოლიტიკისთვის დიდად არ ცხელა, მაგრამ ჩანს, რომ აშკარად ესიმპათიურება წინა ხელისუფლება:

„პოლიტიკისთვის დიდად არ მცხელა, მარა წინა ხელისუფლებამ ჩამოწერილი ტრაქტორი მაინც მოგვცა და სოციალურიც დაგვინიშნა, ამათზე კი რა გითხრათ, სახლის გადახურვაში ნამდვილად დიდი დახმარება გაგვიწიეს, ამას ნამდვილად ვერ შევძლებდით, სამაგიეროდ სოციალური მოგვიხსნეს“.

რასაკვირველია, დავინტერესდით, რა იყო პიატკოვსკებისთვის სოციალური დახმარების მოხსნისა და სარეიტინგო ქულის მხოლოდ 4930-ით შემცირების მიზეზები და სოციალურ სამსახურს ვეწვიეთ:

თეა ლომჯარია: სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელი: სარეიტინგო ქულას სპეციალური მეთოდოლოგიით ითვლიან და ჩვენ მასში არანაირი ცვლილების შეტანა არ შეგვიძლია. სარეიტინგო ქულების დათვლისას ყველაფერს ექცევა ყურადღება, მათ შორის ბენეფიციარის მიერ გადახდილ კომუნალურ გადასახადებსაც.

ჩვენ გვესმის რამაზ პიატკოვსკის ოჯახის მდგომარეობა და შეგვიძლია იგი დასაქმების პროგრამაში ჩავრთოთ და დავასაქმოთ, თანაც ისეთ სამსახურში, სადაც იგი გაცილებით მეტ ანაზღაურებას მიიღებს, ვიდრე სახელმწიფოს მიერ დანიშნული სოციალური დახმარების თანხის ოდენობა იქნებოდა. ამასთანავე, შეგვიძლია ჩავრთოთ მედიკამენტების პროგრამაშიც. მუნიცილალიტეტის გამგეობასაც შეუძლია ამ ოჯახს გარკვეული დახმარება გაუწიოს“.

ქალბატონი თეასგან ამ დამაიმედებელი კომენტარის მიღების შემდეგ რამდენჯერმე დავრეკეთ პიატკოვსკების ოჯახში, მაგრამ ტელეფონი გამორთული ჰქონდათ, დავუკავშირდით სოფლის მაჟორიყარ დეპუტატს გიორგი თოიძეს, რომელმაც მადლობა გადაგვიხადა და გვითხრა, რომ აცნობებს კი არა, თვითონ მიყვება სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის ოფისში. რამაზ პიატკოვსკი და გიორგი თოიძე ამ საკითხზე თეა ლომჯარის დღეს შეხვდებიან.

ოჯახის დიასახლისის თქმით, სარეიტინგო ქულების მატების მიზეზი ჯაბახანა ტრაქტორია, რომელსაც მისი ქმარი ვერ შეელია და უფრო მეტს ახარჯავს, ვიდრე შოულობს. პიატკოვსები 2006 წლიდან ასეთ უმწეო მდგომარეობაში არიან. ამიტომ, როგორც ძველი, ისე ამჟამინდელი ხელისუფლების გასაგონად ვამბობთ: თუ ვინმე ფიქრობს, რომ „ბელარუსს“ მინდობილ ოჯახზე ბელარუსი იზრუნებს და ლუკმაპურის საშოვნელად ახალ ტრაქტორს გამოუგზავნის, ძალიან ცდება, პიატკოვსკები საქართველოს მოქალაქეებია და ამ ოჯახის გადარჩენაზე პასუხისმგებლობა, უპირველესად, ხელისუფლებას უნდა აეღო და ხელისუფლებამ უნდა აიღოს.

და ბოლოს, სავსებით სამართლიანად აპროტესტებენ არასამთავრობები უხამს გამოთქმას „ქალი მხოლოდ ქუხნაში“. ამ გამოთქმაში, ქალი მხოლობით რიცხვშია მოხსენიებული, ჩვენ კი პიატკოვსკების იატაკჩაცვენილ „ქუხნაში“ შვიდი ქალი (დედა და ექვსი შვილი) ერთად ვიხილეთ შეყუჟული, რომელთაც ცხოვრების კი არა, არსებობის ელემენტალური პირობებიც არ გააჩნიათ. იმედია, ამ ფაქტს ყურად იღებენ ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები.

შესაბამის კანონთან ანაზღაურების შესაბამისობაში მოყვანა თუ მხოლოდ ხელფასების ზრდის დამტკიცება

საკრებულოს სხდომის ძირითად საკითხზე გამართულ დებატში დეპუტატებმა ერთმანეთი სიტყვიერად შეურაცხყვეს

ზრდა, საშტატო ნუსხას თუ გადახედავთ, ყველგან მომატებული არის ხელფასი,

გიორგი ღურჯუმელიძე: ხელფასების მატებაზე არ გესაუბრებით, ფინანსურ გაანგარიშებაზე ხომ არ გეუბნებით, ეს პრეამპულაში მოყვანილია იმიტომ, რომ სამართლებრივი საფუძველია, საკრებულოს საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის როგორც მერიის, ისე საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა.

ბესო ქათამაძე: საშტატო ნუსხის წინააღმდეგი არ ვართ. იგივე დავამტკიცეთ 4 დეკემბერს.

გიორგი ღურჯუმელიძე: საშტატო ნუსხაში შევიდა ცვლილება, დაემატა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე.

ბესო ქათამაძე: რაოდენობრივში რომ შევიდა, მაგაზე არ ვდაობთ. თქვენ მესაუბრებით, რომ საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეს მოადგილე დაემატა, ეს ხომ დავამტკიცეთ 4 დეკემბერს, იგივე საშტატო ნუსხაშია. მხოლოდ ხელფასის ზრდაზეა საუბარი. საშტატო ნუსხა უკვე დამკიცებული აქვს საკრებულოს.

გიორგი ღურჯუმელიძე: ეგ მერიის.

ბესო ქათამაძე: დიახ მერიის, თქვენი ჯერ არ გამოსულა, მერიაზე გვაქვს აქ საუბარი. საკრებულოშიც იგივეა, იზრდება, ასე არის. ზრდით მხოლოდ ხელფასებს, სხვა არაფერს ამტკიცებთ.

გიორგი ღურჯუმელიძე: ანაზღაურება შესაბამის კანონთან მოდის შესაბამისობაში.

ბესო ქათამაძე: რა გამოდის იცით? მთელი ქვეყნის მასშტაბით საშოვარზე არის მოსული „ქართული ოცნების“ ხელისუფლება. ამას ამტკიცებთ მთელი ქვეყნის მასშტაბით. ხელფასებზე, პირადულზე იბრძვის „ოცნების“ ხელისუფლება, მყიდველუნარიანობა მოაკლდა, ანუ, რასაც ყიდულობდა 2012-ში, 2013-ში, იმას ვეღარ ყიდულობს ეს ხალხი და ხელფასი უნდა მოემატოს. კი, მაგრამ მაშინ სოციალურად დაუცველმა ხალხმა რა დააშავა?

გიორგი ღურჯუმელიძე: არ არის ეგრე, ბატონო ბესო.

ბესო ქათამაძე: გაიხედეთ ქუჩაში, ხალხი ნაგავშია ჩაყუდებული. მარტო თქვენი ხელფასების მატება? ეს თანხები ხალხისთვის მივმართოთ, თუ მართლა ხალხისთვის ვართ აქ მოსული. ბოლო ექვსი წელია, საერთოდ ხალხზე არ ფიქრობს „ოცნების“ ხელისუფლება.

გიორგი ღურჯუმელიძე: რა არის იცით? თქვენ შეგიძლიათ ქველმოქმედებისკენ მიმართოთ ეს თანხები.

ბესო ქათამაძე: მაგას ვაკეთებ ისედაც და არ მჭირდება თქვენი სწავლება.

პოლემიკაში აქ გოჩა კილაძეც ჩაერთო.

გოჩა კილაძე: კი, იმატებს ხელფასი, მაგრამ შენ წაგართვეს რამე?

ბესო ქათამაძე: ხალხს ართმევთ, ვინც გიხდით, იმას ართმევთ.

გოჩა კილაძე: რაც გვქონდა ბიუჯეტში, გვაქვს იგივე, იმაზე ნაკლები კიდევ.

ბესო ქათამაძე: რა რაც გქონდა?

გოჩა კილაძე: რაც გვქონდა სახელფასო ბიუჯეტში, იგივე გვაქვს-მეთქი, იმაზე ნაკლები კიდევ. თქვენ კიდევ ყველა თვეში ირიგებდით.

ბესო ქათამაძე: ვინ ირიგებდა, ჩვენ როგორ გველაპარაკებით?..

გოჩა კილაძე: აღარ გინდათ ქულების დაწერა, გაჩერდით, რა.

ბესო ქათამაძე: არ მოგცათ მერმა და როგორ აიღებდით.

გოჩა კილაძე: ვინ ეკითხება? ბიჯო, განაგლებული კაცის იმიჯი გაქ, ეკითხება მერს ჩვენი პრემია საერთოდ?

ბესო ქათამაძე: ე, თუ არ ეკითხება. აბა, რატომ ვერ აიღე?

გოჩა კილაძე: არ მინდოდა და არ ავიღე. აი, ყველა ხდება რატომ ლაპარაკობ შენ ამას...

ბესო ქათამაძე: რატომ ვლაპარაკობ? შენ „ნაციონალების“ დროსაც იღებდი პრემიას.

გოჩა კილაძე: რა უნდა გითხრას კაცმა, მაიმუნი კაცი ხარ.

ბესო ქათამაძე: მაიმუნიც ხარ და უარესიც. როგორ საუბრობ, შენ რამე ხომ არ გეშლება? როგორც ნაციონალების დროზე გეკიდა, ახლაც ისე გკიდია და უზრდელი ხარ კიდევ. რამე ხომ არ გეშლება? საკრებულოს სხდომაზე ხარ, იმაში ხომ არ ხარ, ქუჩაში?

გოჩა კილაძე: გეუბნები, რომ...

ბესო ქათამაძე: რას მეუბნები, უზრდელობ აქ...

გიორგი ღურჯუმელიძე: ბატონო ბესო, პოლემიკაა ეს და მეც მაქვს ერთი კითხვა: რამდენაც უწევს დღეს საჯარო სამსახური კონკურენციას ბიუროს, რომ მოუყაროს კვალიფიციურ საჯარო სამსახურში თავი, აი იმ ხელფასებიდან გამომდინარე, რაც დღეს არის? ვერ უზრუნველყოფს ამას, კონკურენციას ვერ უწევს და შესაბამისად საჯარო სამსახურის რეფორმა გულისხმობს ზუსტად ამას. აქ არ არის უსაშველო ზრდაზე საუბარი, აქ საუბარია ღირსეულ ანაზღაურებაზე, რომ დაინტერესება ჰქონდეს ადამიანს, მოვიდეს, თვითმმართველობაში მიიღოს მონაწილეობა, იმუშაოს და გააკეთოს თავისი საქმე, პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური კადრებით. ვისაც ამის სურვილი არ აქვს, ყველა მიდის ბიზნესში, იმიტომ, რომ ბიზნესს ვერ უწევს სახელმწიფო კონკურენციას და ეს კადრები მიდის თავიდან ბოლომდე. სახელმწიფო საქმეს კვალიფიციური კადრების მოზიდვა სჭირდება. მეთანხმებით თუ არა?

ბესო ქათამაძე: ეს კვალიფიციური კადრები სანათესაოში და საბიძაშვილოში არ ირჩევა, ხალხში უნდა აირჩეს.

გიორგი ღურჯუმელიძე: ხალხში ირჩევა, ხალხში, კონკურსითა და მობილობის წესით.

ბესო ქათამაძე: ყველამ ყველაფერი იცის ამ ქალაქში.

ტარიელ არაშიძე: რომ იცის, იმიტომაც იყო შედეგები არჩევნებზე.

შალვა თავდგირიძე: შედეგებზე ნუ ვილაპარაკებთ ახლა, ყველამ კარგად იცის, რაფერ მიიღეთ ხმები და რანაირად რა გააკეთეთ. ზოგმა ტუალეტიდან ამოიღო დეპუტატობა და ზოგმა იქიდან, რა ჰქვია...

დავით მჟავანაძე: პოლიციელი, ყაჩაღი ყველა ერთად იბრძოდა, ამიტომ არჩევნებზე როცა საუბრობთ...

ბესო ქათამაძე: ტუალეტიდან ამოღებულ ბეჭედს რომ დაგირტყამენ, მიიღებთ მაშინ ხმას.

ტარიელ არაშიძე: თქვენ დროს უკეთესად ტარდებოდა?!

„ნაციონალი“ დეპუტატები ჯგუფურად: კიი!

გოჩა კილაძე: ჩვენს დროს ყაჩაღები და პოლიციელი არჩევნებს ერთად არ ატარებდა, ამის პასუხისმგებელი ვარ. თქვენ შეურაცხყოფას აყენებთ ამომრჩეველს.

დავით მჟავანაძე: მე არ ვსაუბრობ ამომრჩეველზე, იცი, რა იყო შეურაცხყოფა? ხელების გადაგრეხით რომ მიდიოდით...

შალვა თავდიშვილი: არ გვინდა ახლა არჩევნებზე ლაპარაკი. სწორი ხართ, მოსამატებელია ხელფასები, იმიტომ, რომ გააფარჩაკეთ ლარი, აფერ თავში არაა, ქვეყანაც აფერ თავში არაა, სწორი ხართ, ორი მაგდენი უნდა იყოს ხელფასი, მარა პენსიონერსაც უნდა მუუმატოთ, მუშასაც. ორი ამდენია საჭირო...

მოკლედ, „ორთქლის გამოშვებისა“ და ნერვების დაგლეჯის შემდეგ, დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებას უმცირესობამ - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატებმა მხარი არ დაუჭირეს. მათგან მხოლოდ ერთმა აუწია ხელი მეორე საკითხის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამკკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებას.

მიღებული დადგენილებების თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები გაიზარდა, მაქსიმალური (მუნიციპალიტეტის მერისა) შეადგენს 3000 ლარს, მინიმალური (მერის წარმომადგენლის თანაშემწისა) - 650 ლარს. სრულყოფილად შეგიძლიათ იხილოთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის დადგენილებაში.

მაჟორიტარები

ლალი სიჭინავა: „ჯჯერა ჩემი გამოცდილება, ცოდნა, უნარ-ჩვევები შემაძლებინებს თანასოფლელების პრობლემების მოგვარებას“

„თუ კარგად არ იცნობ სოფელს, მოსახლეობას , არ იცი ყველა ის პრობლემა, რაც მათ აწუხებს , თუ არ გაქვს დიდი სიყვარული მათ მიმართ, ვერ შეძლებ, გახდე მათი რჩეული... თანაც მეორედ. ყოველთვის ვცდილობდი და ვცდილობ სიყვარულისთვის სიყვარულით მეპასუხა. მთელი ეს წლები მე ჩემი ამომრჩევლების სამსახურში ვარ, როგორც რძალი, მეზობელი, მასწავლებელი, მეგობარი, დირექტორი., დეპუტატი.... მე არასდროს მომიტყუებია, ვიცი, სჯერათ ჩემი, მენდობიან ... სწორედ ჩემი და ჩემი ოჯახის სოფლისადმი სიყვარულმა და ერთგულებამ არჩევანი ჩემზე გააკეთებინა სოფელ ცხემლისხიდის მოსახლეობას, არც ერთი წუთით არ დამვიწყებია ჩემი ვალდებულება, კარგად ვიცი ყველა ის პრობლემა, რაც ჩვენს თემს - ცხემლისხიდსა და ბაღდადს აწუხებს.

ამჯერად ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 46,61% ხმის მიღება დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს... მენდობიან, იმედი აქვთ უკეთესი მომავლის და მგულშემატკივრობენ... კარგად იციან, მე ვარ მათი ხმა საკრებულოში, მათი უფლებების დამცველი. სოფელში პრობლემებს რა გამოლევს...შიდა გზები, სასმელი წყლის სისტემის მოგვარება,გარე განათებები, ნაგვის ურნები, გაზიფიცირება, ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხები, მრავალშვილიანი ოჯახები, ... ეს ის თემებია რომელთა მოგვარებაც ჩემი საარჩევნო პროგრამის ნაწილია....

მჯერა, ჩემი გამოცდილება, ცოდნა, უნარ-ჩვევები შემაძლებინებს თანასოფლელების პრობლემების მოგვარებას.მე მათ სამსახურში ვიყავი, ვარ და ვიქნები, სანამ ფიზიკურად შემძლება... ჩვენ ერთად, ერთმანეთის გვერდში დგომით შეუძლებელს შევძლებთ“...

ბესიკ ქათამაძე: „მაქსიმალურად შევეცდები, ვიზრუნო ნასაკირალის უკეთესი ხვალინდელი დღისთვის“



ბესიკ ქათამაძეს დაბა ნასაკირალის ამომრჩეველებმა ნდობა უკვე მეორედ გამოუცხადეს. თვითმმართველობის არჩევნებში მან 734 ხმით (56.,9%) გაიმარჯვა. ბესო ქათამაძე პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოადგენს და საკრებულოში ამავე პარტიის ფრაქციის წევრია.

„საარჩევნო კამპანიის დროს ინტენსიური შეხვედრები მქონდა მოსახლეობასთან. მინდა დღეს, კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩემი დიდი პატივისცემა თანადაბელების მიმართ, გამოცხადებული ნდობისთვის, გულთბილი შეხვედრებისთვის, საინტერესო დისკუსიებისთვის.

დაბაში მართლაც ბევრი პრობლემაა და მათი ეტაპობრივი გადაჭრა წარმოადგენს ჩემს მთავარ ამოცანას. უპირველესად, რაც მოსაგვარებელია, ეს არის ცენტრალური გზის მოწესრიგება, გარე განათებების მოწყობა. დაბას ესაჭიროება ასევე ამბულატორია, რათა ელემენტარული მომსახურების მიღება ნასაკირალელებმა ადგილზე შეძლონ. აუცილებელია წყლის სისტემის რეაბილიტაცია. ეს არის ის ძირითადი მოსაგვარებელი პრობლემები, რომლებიც დაბისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

მაქვს სურვილი ნასაკირალში მოეწყოს ახალგაზრდული ცენტრი, სადაც განთავსდება ბიბლიოთეკა, აღიჭურვება კომპიუტერებით, სხვადასხვა სახის მუსიკალური საკრავებით. ეს შესაძლებლობას მისცემს ახალგაზრდებს ჰქონდეთ ჯანსაღი გარემო, საინტერესო თავშეყრის ადგილი. ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და მათი შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობა, ეს არის ჩვენი დაბის, მუნიციპალიტეტის ხვალინდელი დღე და ნათელი მომავალი.

მე, როგოც დეპუტატი მაქსიმალურად შევცდები, ჩემი სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში, ვიზრუნო ნასაკირალის უკეთესი ხვალინდელი დღისთვის, რაც გახდება თითოეული ჩემი თანადაბელის კეთილდღეობის საფუძველი“.

რას გვიქადის წელს აზიური ფაროსანა

ალიონი. სოფლის მეურნეობის პარაზიტი, აზიური ფაროსანას „სამშობლო“ ჩინეთი, იაპონია, კორეა და ტაივანია. აშშ-ში პირველად მავნებელი 1998 წელს შენიშნეს. 2010-2011 წლებში ფაროსანამ ამერიკელი ფერმერების ხეხილის ბაღებს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

ბოლო წლებში მავნებელი ევროპაში, სამხრეთ ამერიკაშიც გავრცელადა. 20-15 წელს იგი საქართველოშიც გამოჩნდა. მომდევნო წელს მწერმა დასავლეთ საქართველოში თხილის მოსავლის მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია. თხილის გარდა იგი აზიანებს თესლოვან და კურკოვან ხილის სხვადასხვა სახეობას – კენკროვანებს, ბოსტნეულ კულტურებს ციტრუსს.

განსაკუთრებით ზიანს აყენებს ვაშლს, მსხალს, ატამს, ვაშლატამას, ჟოლოს, პომიდორს, წიწაკას, მზესუმზირას, სიმინდს. ფაროსანას შეუძლია მოსავლის 70 პროცენტი გაანადგუროს.

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მთავრობამ 2017 წლის 24 მარტის განკარგულებით აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებებისთვის 7 574 000 ათასი ლარი გამოყო. დამატებით სურსათის ეროვნულ სააგენტოს თხილის ფართობების დასამუშავებლად საჭირო მუშახელის ანაზღაურებისათვის 4 854000 ლარი გადაერიცხა.

გასულ წელს მედია აქტიურად აშუქებდა ფაროსანას წინააღმდეგ ჩატარებულ კამპანიას, თუმცა არაერთი სტატია დაიბეჭდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ფაროსანას წინააღმდეგ დაგვიანებულ და არასწორ ბრძოლაზე.

გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ თურქეთის რესპუბლიკიდან შემოტანილი წამალი არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. თავად თურქეთს ევროკავშირმა უარი ათქმევინა კონკრეტული პრეპარატების გამოყენებზე, რადგან იგი ევროპის ბაზრის ძლიერი ექსპორტიორია და მათ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ევროკავშირის ქვეყნები არ იყიდდნენ, ამიტომ თურქეთმა შეძენილი პრეპარატები საქართველოს მიჰყიდა (?!)

ამას დაემატა ისიც, რომ ფაროსანას წინააღმდეგ არ გამოიყენებოდა სათანადო ტექნიკა, ბევრი საკარმიდამო ნაკვეთი არ შეიწამლა. წამლობა უნდა მომხდარიყო მაისის პირველ ნახევარში, ეს სამუშაოები ივნისის ბოლოს დაიწყო. ავიაცია ძალიან გვიან ჩართეს ამ პროცესში.

საყვედურები გაისმოდა მეფუტკრეების მხრიდან, ისინი აცხადებდნენ, რომ შემოტანილი პრეპარატები ძალზე აზარალებდა ფუტკარს.

წლის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ აპირებდა ეკოლოგიურად სუფთა აშშ-ში გამოცდილ პრეპარატის შეძენას და ინდოეთიდან შემოჰქონდა უფრო იაფი, მაგრამ ეკოლოგიურად უფრო გაუმართლებელი პრეპარატები.

ამ დღეებში საქართველოს პარლამენტში აგრარული კომიტეტის წევრებმა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მთავრობის სამოქმედო გეგმა განიხილეს.

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე **გიორგი ხანიშვილის** ცნობით 2018 წელს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლისათვის დაახლოებით 50 მილიონი ლარი დაიხარჯება.

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ღონისძიებების გატარებას შესაფერისი კლიმატური პირობების შესაბამისად დაიწყება.

რედაქცია დაინტერესდა რა ღონიძიებები იგეგმება გურიის რეგიონში ფაროსანასაც ბრძოლის მიმართულებით, თუმცა ჯერჯერობით პასუხები ვერ მივიღეთ.

გასულ ხუთშაბათს, ქ. ოზურგეთში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონული კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ქალბატონი **მარიამ გელაშვილი** რეგიონის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების წარმომადგენლებთან ატარებთა თათბირს. თათბირი ხანგრძლივი აღმოჩნდა ჩვენ ჩოხატაურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ბიუროს უფროსთან, ქალბატონ **მანანა მინდაძესთან** მოვახერხეთ გასაუბრება:

–თათბირის თემა არ უკავშირდება აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკითხებს –გვითხრა მან.

გასულ ხუთშაბათს, ასევე სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამსახურის უფროსს **ნინო შეწირულს** მივმართეთ კითხვებით. მოგეხსენებათ, საჯარო დაწესებულებებმა გარკვეული ბარიერი შექმნეს მედიისათვის საჭირო ინფორმაციის დროულად მისაღებად. ქალბატონი ნინო სოფლის მეურნეობის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ქალბატონ თეა შველიძეს დაუკავშირდა... **სამინისტროს პიარსამსახურმა მოკლე დროში ჩვენს კითხვებზე (მათ შორის წელს ფაროსანასთან ბრძოლის საქმეში ინდური პრეპარატის ეფექტიანობას და რამდენად მისაღებია იგი მეფუტკრეობისთვის) პასუხი არ გაგვცა.** (იმედია პასუხს გაგვცემენ, რომელსაც გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ).

ტიფო მიქატაძე, *შპს „ხელხვავის“ კონსულტანტი:*

–„საზოგადოება უნდა შეეგუოს იმას, რომ სულ ახალ-ახალი გამოწვევები ელოდება სოფლის მეურნეობას. თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო სისტემები, რომელსაც სახელმწიფო აყალიბებს, ამ გამოწვევების ადეკვატური უნდა იყოს. სამწუხაროდ, ჩვენი სახელმწიფო ამ კუთხით ჩამორჩება. ვისურვებდი, სასოფლო-სამეურნეო სისტემების ის ნაწილი, რომელიც ექვემდებარება პროგნოზირებას, ანალიზს და მონიტორინგს, კიდევ უფრო უნდა განვითარდეს. ჩვენ უნდა ვფლობდეთ ინფორმაციას, არა მარტო იმის შესახებ, რა ხდება მხოლოდ საქართველოში, არამედ მეზობელ ქვეყნებში, ზოგადად, საით მიდის პროცესები და პროგნოზირებისა და მონიტორინგის სამსახური მზად უნდა იყოს ნებისმიერი გამოწვევისათვის, რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიადგეს კონკრეტულ დარგს.

ფაროსანა გამოწვევაა და უნდა ვიცოდეთ რა უნდა გაკეთდეს ხვალ, რათა მოსალოდნელი ცუდი პროგნოზი რეალობაში მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. **ჩემი აზრით მაინც, მთავარი უნდა იყოს საინფორმაციო-საპროპაგანდო მუშაობა,** რადგან მოსახლეობა ეპიდემიური საშიშროების წინაშე დგას.გამოყენებული უნდა იყოს, როგორც მექანიკური, ისე აგროტექნიკური, ბიოლოგიური, საშუალებები.

რაც შეეხება ქიმიურ საშუალებას, იგი მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებული საშიშროებისას უნდა იყოს გამოყენებული. საშიშროება დიდია, როცა ქიმიის გამოყენების მასშტაბები იზრდება. ამ შემთხვევაში ქიმიის გამოყენებაზე კი არ უნდა ვთქვათ უარი, არამედ კონკრეტული პრეპარატის სწორად და ზომიერი გამოყენება უნდა მოხდეს.სახელმწიფო თუ კერძო კომპანიებმა, რომლებიც ქიმიური საშუალებების შემოტანით არიან დაკავებულნი, ფერმერებს უნდა მიაწოდონ რეგლამენტი, როდის შეწამლონ, რა დოზით უნდა შეწამლონ და რა ტიპის უსაფრთხოების ზომები უნდა დაიცვან.

შარშან, სურსათის ეროვნული სააგენტოს საპროპაგანდო მასალებში დეტალურად იყო ასახული კონკრეტული პრეპარატით როგორ უნდა შეეწამლათ და რა ტიპის უსაფრთხოების ზომები უნდა დაეცვათ. წელს ეს პროპაგანდა კიდევ უფრო მეტად უნდა გაძლიერდეს.

შარშან ფაროსანას საწინააღმდეგო პრეპარატი ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ შემოიტანა. ეს პრეპარატია „ბიფეტრინი.“პრეპარატის გამოყენება სახელმწიფო რეგლამენტითაა დარეგულირებული...

რაც შეეხება, მოსახლეობაში დარიგებულ პრეპარატების გამოყენებას, ჩვენთან ქიმიური საშუალებების გამოყენების კულტურა ძალზე დაბალია. პრეპატარატის ეტიკეტირება შესაბამისი კანონით რეგულირდება. კანონში არის არის იმ საშიშროებზე, უსაფრთხოების წესებზე საუბარი, რომელიც ფერმერმა უნდა გაითვალისწინოს“–გვითხრა ტიფო მიქატაძემ.

ქართველმა მეცნიერებმა ფაროსანასთან საბრძოლველი პრეპარატი შექმნეს

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტმა და ბიოტექნოლოგიების ცენტრმა აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ბიოპრეპარატი შექმნა.

როგორც პროფესორი არჩილ ჭირაქაძე „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, ხსნარის ეფექტურობა დაახლოებით 90%-ია.

“ბუნებაში არის ბევრი მცენარე, რომელსაც აზიური ფაროსანა არ ეკარება და სწორედ ამ მცენარეებიდან ამოღებული ექსტრაქტებით დამზადდა. ლაბორატორიულ პირობებში გამოვცადეთ და ფაროსანას ლეტალობა იმ პრეპარატის (ბიფენტრინი) ლეტალობას გაუტოლდა, რომლითაც ფაროსანას ებრძვიან“, – აცხადებს ჭირაქაძე.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ხსნარის გამოყენება მოხდა, სახელმწიფოს ხარჯები აზიური ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად მნიშვნელოვნად შემცირდება.

ჭირაქაძის ინფორმაციით, ხსნარის შექმნის იდეა წლებია აქვთ, თუმცა სახელმწიფო დონეზე მეცნიერთა წინადადებებს ამ დრომდე არ განიხილავდნენ. ამ ეტაპზე კი სოფლის მეურნეობის სამინისტრო სამეცნიერო წრეებთან აქტიურ შეხვედრებს მართავს.

გასულ წელს აზიურმა ფაროსანამ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, განსაკუთრებით თხილს და მანდარინს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. 2016 წელს მავნებელმა მეთხილეობის დარგს 50-60 მილიონი ლარით დააზარალა, გასული წლის დაზუსტებული მონაცემები კი ჯერჯერობით არ არსებობს.

რაც შეეხება მომავალ წელს, სოფლის მეურნეობის მინისტრის ლევან დავითაშვილის ინფორმაციით, 2018 წელს აზიური ფაროსანას საწინააღმდეგოდ მილიონ ჰექტრამდე ფართობი შეიწამლება. საერთო ჯამში კი, მომავალ წელს მავნებლის საწინააღმდეგოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 49 მილიონი ლარი გამოიყოფა, რომელიც შესაწამლი პრეპარატებისა და შესაბამისი ტექნიკის შეძენას უნდა მოხმარდეს.

საშა ობოლაძის ტერორი გურიაში და გოგია ღლონტის ბახმაროს რაზმი

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. გაზეთი „ალიონი“ №2, გვ.4)

* * *

მამა, ირაკლი თალაკვაძე საშუალოზე მაღალი, ოდნავ ბეჭებში მოხრილი, მემარცხნიე (ცაცია) იყო – განთქმული მონადირე და მეთევზე. ნადირობდა დათვზე, არჩვზე, მგელზე და იღბლიან და მაგარ მსროლელად ითვლებოდა.

მამას ეზოში საგურე ქურა ჰქონდა მოწყობილი. ეზოში წითელი მიწა იყო და იმით აგურებს წვავდა. უკანავაში მამას აშენებული იყო ბუხრები. მამას სახლის აშენებაც, ყავრის ახდაც შეეძლო. თლიდა ფილებს, მეზობლად ქორწილსა ან სხვა შემთხვებში იგი აუცილებლად გამგე იყო და იმჟამინდელი წესის მიხედვით კერძების მომზადებასაც ხელმძღვანელობდა. ხშირად იყო თამადა და მშვენიერი ბანით მღეროდა.

სამაგიეროდ, სულ სხვა ბუნების აღმოჩნდა, მრავალრიცხოვანი დედმამიშვილებიდან მომდევნო ძმა სიმონი. იგი ფირალ გოგია ღლონტის რაზმის წევრი გახდა.

* * *

საშა ობოლაძე 1923 წელს ჩამოვიდა გურიაში დამსჯელი რაზმით და წითელი არმიის მებრძოლებთან ერთად. იმის გამო, რომ გოგია ღლონტის რაზმი ძირითადად ტყეს აფარებდა თავს, მათთვის ხელმიუწვდომელი იყო, ამიტომ მიჰყვეს ხელი მათი ოჯახების აწიოკებას და სახლ-კარის გადაწვას. ისინი აპატიმრებდენენ გოგია ღლონტის შემფარებელ ოჯახსაც, ხვრეტდნენ, სახლ-კარს უწვავდნენ.

საშიშროება ჩვენს ოჯახსაც ელოდა, რადგან გოგია ღლონტის რაზმის წევრი იყო უფროსი ბიძა სიმონ თალაკვაძე, რომელიც მაგარი მსროლელი იყო..

ბაბუა დაიჭირეს. ოზურგეთში ციხეში (ყოფილი სამხედრო კომისარიატის ადგილას) მოუთავსებიათ. უკანავაშიც დაუწვავთ სახლები..ირაკლი თალაკვაძეს დაუწვეს ოდა სახლი და ობლები ცის ქვეშ დაუტოვეს. ცი-

გვ-7

ბახმაროს დამცველი რაზმი: დგანან – დ. ერქომაიშვილი, გ. ლომინაძე, ი. კოტრიკაძე, ს. მეგრელიძე; სხედან - ე. კვაშალი, კ. ჭელიძე, ს. თალაკვაძე, ვ. ჩხაიძე. გ. ღლონტი, ფ. მეგრელაძე, მ. დათუნაშვილი. 1921 წ.

ცოცხალი -live №9

„ედელვაისის“ ყვავილობა გიორგი ჩიხლაძესთან ერთად

„ედელვაისი“ 2017 წელს 20 წლის გახდა. ეს საკუთარი თავის ძიების, მარცხისა და გამარჯვების წლებია. ანსამბლი ჩვენი ქალაქის კოლორიტმა, ნიჭიერმა, კეთილშობილმა, ბატონმა იური ჩიხლაძემ დაარსა. თითქოს „ედელვაისს“ უანდრეა თავისი ყველაზე დიდი სიმდიდრე - სიყვარული და ნიჭიერება. ათი წელიწადია „ედელვაისს“ მისი ვაჟი, გიორგი ჩიხლაძე უძღვება. მათი სათუთი მამაშვილობა ცალკე თემაა, მაგრამ ჩვენ ახლა „ედელვაისის“ რეპეტიციაზე ვართ „შეპარულები“. ალვანური საცეკვაო მელოდიები დახურულ კარს მიღმაც ისმის. ანსამბლში ოცდათხუთმეტამდე წევრია, დაწყებითებითებიდან დამამთავრებელი კლასის ჩათვლით. მოსწავლეები, მღერიან, სალამურს, აკორდეონს, ჩონგურს აჟღერებენ. მათი მუსიკა ერთობითა და სილაღით ხარობს, სასიამოვნო სანახავი და მოსასმენია. მასწავლებელი გულმოდგინედ აკვირდება თითოეულ აკორდს, ამაყობს და ასწავლის

გიორგი ჩიხლაძე, „ედელვაისის“ ხელმძღვანელი: „ - ოზურგეთის კულტურის სახლთან არსებული ანსამბლი „ედელვაისი“ შექმნა აწ გარდაცვლილმა ბატონმა იური ჩიხლაძემ 1997 წელს.

2002 წელს, „ყვავილების დღესასწაულზე“ მამას მუსიკა დავუკარით, თვითონაც ჩვენთან იყო და პირველი გრანტიც ავიღეთ. ბევრ ფესტივალზე ვღებულობთ მონაწილეობას, დიპლომიც ბევრი გვაქვს, ახლახან ბათუმში ვიყავით და მოვიპოვეთ ტიტული და დიპლომი - „საუკეთესო ფოლკლორში“. ყველაზე მეტად მაინც მამასთან ერთად მოპოვებული ის პირველი ჯილდო მეამყება.“

„ედელვაისი“ იური ჩიხლაძის მუსიკით „პირველი სხივი“ იპყრობს ყურადღებას. კედლებიდან კი გაზეთის გაყვითლებული ფურცლებიდან იურის შესახებ სტატიები და ანსამბლის უამრავი მედალ-დიპლომი მდუმარედ გვიერთდება.

საკონცერტო ნომრის შემდეგ გიორგი თხრობას განაგრძობს: „ - იური მარტო ჩემთვის არა, ყველას მამა, ბაბუ, კოლორიტი, ყველამ კარგად იცის ვინც იყო, ძალიან დიდი ადამიანი და დიდი ხელოვანი. პიროვნულად და პროფესიულად მისი გავლენით ვარ. თუმცა ადრე ვზარმაცობდი, დღეს მის „ედელვაისთან“ ერთად ვარ. თავისივე სიცოცხლეში უკვე მაქცია მასწავლებლად, მეც მყავდა ჯგუფები „ჭანი“ და „კრიალოსანი“, თან „ედელვაისშიც“ ვმუშაობდი მამის გვერდით. „ედელვაისი“ ჩემთვის საქმე არ გახლავთ, ეს ჩემი სიცოცხლეა. თითქოს ერთი ოჯახი ვართ. თუ რეპეტიცია სამ საათზეა, პირველზე უკვე აქ ვართ და თითქმის ვაღამებთ. სულ ერთად ვართ.“- ამბობს გიორგი და აღარ მინდა ვკითხო დამატებით. ზოგჯერ მოკლედ ნათქვამიც ბევრს აცხადებს.

ანსამბლის წევრებიც პედაგოგივით სიტყვაძვირია:

მაგდა გუდავაძე: - მეოთხე წელია აქ ვარ, მასწავლებელი ჩვენი მეგობარია და ბავშვებიც ასე ვართ ერთმანეთისათვის. გვიხარია ერთად ყოფნა.

ნინო მუჯირი: აქ პირველ რიგში მოვდივარ მეგობრებთან, სადაც სწავლაც ძალიან სასიამოვნოა. ეს ანსამბლი ჩემთვის ყველფერია.

ლუკა გოლიაძეს აკორდეონზე დაკვრა უყვარს, ჩონგურიც იცის: „მეათე წელიწადია აქ დავდივარ, მუსიკა და მეგობრები ანსამბლიდან, გიორგი მასწავლებელი ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია.“

პატარა **ნუგზარ გაფრინდაშვილი** კი მხოლოდ ექვსი თვეა აქ არის, თუმცა ისე მონდომებით აჟღერებს თავისტოლა დოლს, რომ ეტყობა უკვე მყარი „ედელვაისელია“, კონკურსებზეც გამოდის. მისი მამის, ბატონი გია გაფრინდაშვილის სიტყვებით ნუგზარს უკვე ხუთი დიპლომიც მოუპოვებია მეგობრების გვერდით: „ - ძალიან მადლობელი ვარ ამ ანსამბლის ხელმძღვანელის, როგოც უფროსი მეგობარი ისე უდგას ბავშვებს, მიხარია შვილის აქ მოყვანა, მუსიკასაც და ურთიერთობასაც სწავლობს.“

თეა ჩავლეშვილი, გიორგის მეუღლე: - „ჩვენ მუსიკამ დაგვაახლოვა, ვიყავი ბატონ იურის მეგობარი და მოხდა ისე, რომ რძლის ტიტულიც მომემატა. ბატონი იურის გარშემო ერთ ოჯახად იყო შეკრული მისი ანსამბლი და ახლაც ასეა: „ედელვაისი“ სიყვარულით აერთიანებს ადამიანებს. წარმატებებიც გვაქვს, საოცნებოდ გვაქვს ანსამბლის ფორმირება. იქნებ გამოჩნდეს ვინმე და დაგვეხმაროს. ბევრი პრესტიჟული ფესტივალი გამოვტოვეთ, ზოგჯერ გვიშვებენ ფესტივალზე, მაგრამ ბოდიშის მოხდით პირველ ადგილს არ გვაძლევენ მაგ მიზეზით. ჯერ- ჯერობით ვერავსი ვაწვდინე სიტყვა ამ საკითხზე.“

„ცოცხალი“ დაუკავშირდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის უფროსს ბატონ **მაიზერ ცელაძეს**.

მაიზერ ცელაძე: „ - ჯერ ჩვენთან არ შემოსულა ანსამბლის „ედელვაისი“ ფორმირების შესახებ მოთხოვნა. იმედია, ბატონი გიორგი შემოიტანს განაცხადს ანსამბლის საჭიროებების შესახებ და შესაძლებლობის შესაბამისად მივიღებთ გადაწყვეტილებას.“

აუცილებელია ამ ბავშვების ფორმით ეკიპირება, რათა მათ კიდევ მეტი წარმატება და სახელი მოიპოვონ.

გიორგის, მამის დარად, მუსიკა და სიხარული სახლშიც მიჰყვება. მართალია მისი ქალიშვილები ნინი და სოდონია ანსამბლში არ არიან, მაგრამ ძალიან ახარებთ მშობლებთან ერთად მუსიკალური ნომრების შესრულება. ნინის ბატონი იურის გარდაცვალების შემდეგ დიდხანს არ უმღერია, თუმც ბოლოს გადაწყვიტა მუსიკალური განათლება მიიღოს და გააგრძელოს „ედელვაისის“ ხელმღძვანელობა, რომ მან მუდამ იცოცხლოს იყვავილოს. ჯერ კი მერვეკლასელია.

ბატონი **ირაკლი ჭაღალიძე,** იური ჩიხლაძის მეგობარი, „ედელვაისს“ რამდენიმე თვეა შემოუერთდა: „ - ბატონმა იურიმ ძალიან კარგი თაობა გაზარდა და დატოვა. ანსამბლის ძალიან კარგი ისტორია აქვს. ამ ისტორიის მოვლა- განვითარება ჩვენი ვალია. ხელოვნებამ დამამეგობრა ჩიხლაძეებთანაც და ანსამბლთანაც.

აღარ გვიკვირს, რომ გიორგის სიტყვა ასეთია: „ - ძალიან მიყვარხართ, ბავშვებო, „ედელვაისის“ გარეშე ერთი დღეც ვერ ვიცოცხლებ.“

დიდი ანსამბლის რეპეტიციისათვის პატარა და უკომფორტო შენობა ოცდაათამდე ბავშვის მიერ გაცოცხლებული ჰანგებით ივსება. ხმა კარებს მიღმაც მომაცილებს...

„ედელვაისი“ უყვარს ოზურგეთსაც და გავიმეორებ, რომ მას თანადგომა, სპონსორი სჭირდება. მათ დაიმსახურეს ეს. თავად, საქველმოქმედო კონცერტებსაც დაუზარლად მართავენ სხვათა გულის გასახარად. იმედია, როცა „ედელვაისი“ თავისი საჭიროებების პროექტს წარადგენს, მას მხარს დაუჭერს ხელისუფლებაც და იქნებ მეცენატიც.

ლია კილაძე

ვიდეოვერსია იხილეთ ფეისბუქის გვერდზე „ცოცხალი - **live**

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

თუმანიშვილები ოზურგეთში

უცნობი ავტორის ჩანაწერების მიხედვით, რომელიც დაცულია ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში (საქმე 209) აღნიშნულია. „ოზურგეთელი კათოლიკე თუმანიშვილების წინაპარი ქართლის სოფელ ხელთუბნელები ყოფილან. ამასვე ადასტურებს მათი გვარის შესახებ შემორჩენილი თქმულება: თუმანიშვილები ხელთუბნელები არიან, ქართლს ლეკები დასცემიან და ტყვეები ახალციხისკენ წაუყვანიათ,ამ ტყვეებში თუმანიშვილებიც ყოფილან, ლეკებს ეს ტყვები ახალციხეში დაუტოვებიათ თუ დაუყიდნიათ ქრისტიანებზე ამ დროიდან თუმანიშვილები ახალციხეში დარჩენილან. აქ უცხოვრიათ და ვაჭრობისათვის მოუკიდნიათ ხელი და საქმეებიც კარგად წასვლიათ, დაუწყიათ ვაჭრობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით ოზურგეთში, რომელი ახალციხეს ახლოს ესაზღვრებოდა.

სავარაუდოდ თუმანიშვილები ოზურგეთში მე-18-ე საუკუნეში უნდა იყვნენ გადმოსულიმათ საქმიანობას გურიის მთავარი გურიელიც დიდ ყურადღებას აქცევდა და მფარველობდა .თუმანიშვილებს ოზურგეთში ისე კარგად წასვლია საქმე,რომ საცხოვრებლად აქ დარჩენილან.

პირველი თუმანიშვილის სახელი, რომელიც ჩვენთვის ცნობილია არის სტეფანე პავლეს-ძე თუმანიშვილი, რომელიც გარდაიცვალა 1845 წელს 90 წლისა, იგი მე-18-ე საუკუნის მოღვაწე პირია. ცხოვრობდა ოზურგეთში ,შემდეგ ქუთაისში გადასულა და იქ გარდაცვლილა.სტეფანე მოხერხებული კაცი ყოფილა, მას გაუტანია გურიიდან აბრეშუმის ჭიის პარკი გასაყიდად. იგი ხშირად დადიოდა სახლვარგარეთ, ერთხელ ნეაპოლშიც კი მოუხდა ჩასვლა. თავისი გვარის წარმოშობის შესახებ ბევრი რამ იცოდაო, მაგრამ ჩანაწერები დაკარგულა.

ცნობილია თომა თუმანიშვილის სახელი, იგი ოზურგეთში პატარა მოსულა, იგი გურიელთან დაახლოებული პირი ყოფილა. თომა სავაჭროდ დადიოდა სტამბოლსა და სხვა ქვეყნებში თავის დროის კვალად ყოფილა მცოდნე და მოხერხებულიც.მას სამი ვაჟი ჰყოლია: იოსები, მიხეილი და ალექსანდრე. გურიაში პირველი არყის სახდელი ქარხანა გაუხსნია ალექსანდრე თუმანიშვილს, მის უკავშირდება აგრეთვე თონის პურის ცხობის საქმეც, ოზურგეთში რაჭველი მეთონეები ჩამოუყვანია. თომას შვილებს გურიაში ვაჭრობის ასპარეზი საკმაოდ გაუფართოებიათ. როგორც უცნობი ავტორი გადმოგვცემს, ამათმა ცდამ ხელი შეუწყო გურულებს ვაჭრობისათვის მიეკიდა ხელი, თორემ მანამდე სულ არ მიდევდნენ ამ საქმესამის შესახებ ცნობილი ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია წერდა:„3-4 მოსახლე ქართველი კათოლიკეებიც არიან, გვარად თუმანიშვილები,ესენი პირველად ექვსი ძმანი ყოფილან ,როცა ახალციხიდან წამოსულან ბედის საძებნელად.პირველად მოსულან ქუთაისში იქედან ოზურგეთში გადმოსულან აქ ვაჭრობისათვის მოუკიდნიათ ხელი. გურიელებიც თურმე მფარველობას უწევდნენ და ერთ დროს შეძლებული ვაჭრების სახელიც ჰქონიათ, ესენი მაშინ ვაჭრობდნენ ოზურგეთში 18-60 წლებში, როცა გურულებს ვაჭრობა, ადგილის დაჭერა და დახლის უკან დგომა სირცხილად და ცოდვად მიაჩნდენ.“ ---„დიდი ხანი არ არის, რაც გურულებს ვაჭრობისათვის მოუკიდნიათ ხელი, ამ ოცდაათი ორმოცი წლის წინათ ერთ გურულსაც ვერ ნახავდით თურმე ვაჭარს ოზურგეთში,მთელი ვაჭრობის საქმე ხელში ჰქონიათ ლაზებს.იმდროინდელი კომერსანტები ყოფილან ქართველი კათოლიკე თუმანიშვილებიც, რომლებიც დღესაც ცხოვრობენ ოზურგეში, მხოლოდ არა ვაჭრობენ,არამედ მოქალაქეებად ირიცხებიან .(თ.სახოკია „მოგზაურობანი“ ბათუმი 1987წ. გვ.34).

ამჟამად ოზურგეთში ცხოვრობს თუმანიშვილის გვარის ერთი ქალბატონინანა თუმანიშვილი გათხოვილი ექიმ ომარ ვაშალომიძეზე შვილებთან ერთად. ნანას მამა იოსები მუშაობდა უშიშროების ოზურგეთის რაიონულ განყოფილებაში. პენსიაში გასვლის შემდეგ აბრეშუმის ფაბრიკის საიდუმლო განყოფილების უფროსადბაბუა გრიგორი ბათუმის პორტში. იოსებ თუმანიშვილს ჰყავდა სამი და : მარიამი, თამარი, და ნინა(ვანდა). ბაბუის ძმა ძმა გიორგი , მეორე მსოფლიო ომის წინ ფინეთის ომში დაიღუპა.

ოზურგეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ექიმი ალექსანდრე თუმანოვი (თუმანიშვილი), თერაპევტი ,სასამართლო ექსპერტი 1940-1947 წლებში, გადმოცემით იგი ცხოვრობდა ახლანდელ გოგებაშვილის ქუჩაზე, ყოფილი რუსული საშუალო სკოლის (ახლანდელი №4 საჯარო სკოლა) მიმდებარე ტერიტორიაზე. 1947 წელს დაიღუპა ტრაგიკულად.ექიმ ალექსანდრე თუმანოვის სურათი სამახსოვრო წარწერით ინახებოდა ცნობილი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის ტიტე ღლონტის ოჯახში. სურათი მისმა შვილიშვილმა მარიკა ღლონტმა გადმოსცა ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმს.

ოზურგეთში არსებობდა წმინდა სტეფანეს სახელობის კათოლიკური (ფრანგების) ეკლესია, რომელიც მეოცე საუკუნის 40-იან წლებში დანგრია ბოლშევიკურმა რეჟიმმა. დღეისათვის ეკლესიის არავითარი ნაშთი არ არსებობს, გადმოცემით ლოკალიზდება მისი ადგისამყოფელი ახლანდელი თაყაიშვილის (ყოფილი აბაშიძის) მეორე შესახვევი. 1940-იან წლებში აბაშიძის შესახვევში,რომ არსებობდა კათოლიკური (ფრანგების) ეკლესია ამას ადასტურებს 1944 წელს გაზეთ „ლენინის დროშაში“ დაბეჭდილი მახარაძის ქალაქის საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარის ლეონიდე მახარაძის ცნობა „უპატრონო ბაღი“:“აბაშიძის შესახვევში არის ფრანგთა ყოფილი ეკლესიის დეკორატიული ბაღი,ახლა იგი ქალაქის საბჭოს ეკუთვნის,მაგრამ მას არ პატრონობენ, არ ჰყავს მცველი, შეუღობავი, პირუტყვისაგან საგრძნობლად გაზაფხულზე გაახსენდებათ ხოლმე არა ქალაქის საბჭოს,არამედ დამკრძალავ ბიუროს, დაჰკრეფს ყვავილებს გვირგვინისათვის და შემდეგ დაივწყებენ.“. (გაზეთი „ლენინის დროშა“ 1944 წელი, № 36 14 სექტემბერი). ოზურგეთში ბაღი ჰქონია ერთ-ერთ თუმანიშვილს, რომელიც უნახია 1897 წელს ოზურგეთში მყოფ თედო სახოკიას:„ ისეთი ბაღი კი, რომელსაც მართლა კულტურა ეტყობა ერთია ოზურგეთში ეს გახლავთ აქაური მკვიდრის ი. თუმანიშვილისა,ამ ბაღის ხეხილსაც და აგრეთვე დეკორატიულ მცენარეებსაც მოსიყვარულე მცოდნე პატონის ხელი ატყვია“.(თ.სახოკია,„მოგზაურობანი“ ბათუმი, 1987 წ.გვ.34).

ამ დღეებში ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმს ეწვია პადრე ბატონი გაბრიელ ბრაგანტინი-ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი. ბატონ ბრაგანტინს აინტერესებდა მიხეილ(მიშა)და ალექსანდრე თუმანიშვილების შესახებ მასალები. მიხეილ ალექსანდრეს-ძე თუმანიშვილი დაბადებული უნდა იყოს 1869წელს სავარაუდოდ ოზურგეთში,შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად გადასულა ბათუმში ცხაკაიას ქუჩა 17-ში. გადმოცემით იგი დაუპატიმრებიათ 1937წელს ამოუცანიათ ოზურგეთში და დაუხვრეტიათ .მისი მამა ალექსანდე გიორგის-ძე თუმანიშვილი წარმოშობით ახალციხიდან ყოფილა ოზურგეთში ცხოვრობდა და შემდეგ გადასულა ბათუმში.

ამჟამად მიხეილ(მიშა) თუმანიშვილის შვილიშვილი გიორგი თუმანიშვილი ცხოვრობს ჩრდილოეთ იტალიაში ტრიესტში, პენსიონერი დაახლოებით 75-76 წლის, რომელიც დაინტერესებულია მისი წინაპრების ისტორიით. ჯერ-ჯერობით ეს არის რაც შეგძელით მოგვეპოვებინა თუმანიშვილების გვარის შესახებ.

მანანა ლომაძე

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი.

ხსოვნა

ილო რუსიძის გახსენება



წელს მის გარეშე ავღნიშნავთ ილო რუსიძის დაბადების დღეს. მის მიერ დაყენებული „ჩხავერის“ ღვინით იტყვიან შესანდობარს მის საფლავთან შეკრებილი მეგობრები.

ძნელია ახალგაზრდა კაცზე წარსულში საუბარი, მით უმეტეს, იგი არა მარტო ოჯახის, არამედ ქვეყნისთვის საამაყო კაცი იყო. თავისი მოკრძალებული, ეკლესიური, სიყვარულით სავსე ცხოვრებით სამაგალითო რომ იყო სხვებისთვის.

ილოს ბუნებას მისი ოჯახის ტრადიციებიც განაპირობებდა. მშრომელი, პატიოსანი, პურადი იყო და არის რუსიძეების ოჯახი ოზურგეთში. შორს არ წავალთ და ვიტყვი,- ილოს მამა გენო რუსიძეს მთელი ოზურგეთი იცნობდა,ოზურგეთის კულტურისსახლის სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლის წევრს. არაერთი ფესტივალის მონაწილე და გამარჯვებული საქართველოში, ესტონეთში, უკრაინაში, ლიტვაში, მოლდავეთში, რუსეთში... შემდეგ ვლადიმერ ერქომაიშვილმა ხალხური სიმრერების აღმდგენი ცნობილი „ელესა“ რომ შექმნა, როგორც საუკეთესო ბანი, იქ მიიწვია... სამწუხაროდ ბატონმა გენომ ნაადრევად დატოვა წუთისოფელი.

ილო მეორესკოლელი იყო, შემდეგ სოფლის მეურნეობის კუთხით მიიღო სათანადო განათლება, მუშაობდა ოზურგეთის მანქანათმშენებელ ქარხანაში, შემდეგ იყო ერთ-ერთი კერძო ფირმის დამფუძნებელი.

ბოლო 25 წლის მანძილზე მხოლოდ ფერმერულ მეურნეობას ეწეოდა და წარმატებესაც აღწევდა მევენახეობსა და მეფუტკრეობაში. დაახლოებით 20 წლის წინ მან გურული ვაზის ჯიშების აღდგენა-მოშენებას მიჰყო ხელი და შესანიშნავი მეურნეობა შექმნა. უძველესი გურულის ვაზის „ჩხავერის“ საუკეთესო ზვარი ჰქონდა გაშენებული. იგი სოფლის მეურნეობის კუთხით არაერთი ღონისძიების მონაწილე იყო.

ცნობილი მეცნიერი და მწერალი არნოლდ გეგეჭკორი ხშირად სტუმრობდა რუსიძეების ოჯახს. ამ ოჯახის ტრადიციები და ექადიის გორადან გაშლილი აჭარა-გურიის მთების საუცხოო ხედი, მდინარე ბუჟუისა და აჭისწყლის სანახები ხიბლავდა მსოფლიო ყველა კონტინენტის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრს.

2011 წელს ერთად მოვიარეთ გურიის რეგიონი. განსაკუთრებით გომისმთის სანახები დაამახსოვრდა. ილო რუსიძეს ყველანაირი თადარიგი ჰქონდა დაჭერილი, რომ მწერალს სამომავლოთ სათანადოდ წარმოეჩინა მშობლიური მხარე...

ოჯახი-საუკეთესო. ერთგული მეუღლე ნინო დუმბაძე, კარგი შვილები გოგა და ქეთი...

ოთხი დედმამიშვილი იყო. ჯერ ლია წავიდა, შარშან ზაფხულში ილო. როგორც წლების წინათ შეძლო, ახლა ვეღარ დაძლია მძიმე სენი...ტკივილიდაუტოვა ოჯახს, დედმამიშვილებს დიდოს და კახას..

სასიხარულო ის არის, რომ რუსიძეების საგვარეულო ეზო-კარი კვლავ ხმიანობს. ილოს ვაჟი გოგა აგრძელებს ოჯახის ტრადიციებს.

მარადიული ხსოვნა.

ნუგზარ ასათიანი

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს №2 საბავშვო ბაღის გამგეს მედეა ტრაპაიძეს დედის, ქალბატონი **ლიანა ბოლქვაძე-ტრაპაიძის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს კონჭკათის საჯარო სკოლის პედაგოგს მარინა ცერცვაძეს მეუღლის **რობერტი გოთუას** გარდაცვალების გამო

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია იუწყება სკოლამდელი აღზრდის ღვაწლმოსილი მუშაკის, ლაითურის №1 საბავშვო ბაღის ყოფილი გამგის **იზოლდა ანდღულაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

განცხადებები

იყიდება

იყიდება ქარხნული წესით დამზადებული ლითონის სათბური. სიგრძე 10 მ. ფასი შეთანხმებით.

მისამართი: სოფ. ფამფალეთი, ნოდარ ინწკირველი

ტელ. (568) 22 06 90; (568) 47 44 88.

* * *

მესაჭიროება მიმტანი და მზარეული

მობ. (514) 03 80 03

სკანვორდი





№ 2-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ალექსანდრე ჩოფიკაშვილი; საათის მაჩვენებელი მექანიზმი — ისარი; ზეთოვანი მცენარე — ალისარჩული; ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის სიმბოლო — ვილი; ქართული გაზეთი — ალია; განთიადი — აისი; ფრინველის „ცხე“ — გალია; პარკოსანი მცენარე — ლობიო; ბულბულის შვილი — ტია; ეროვნება — ოსი; მყინვარი ჩინეთში — ბალტორი; მესამე პირის ნაცვალსახელი — იგი; ანბანის მე-4 ასო — დ; უნგრელი გარემარბი — ბენე; დათვის თათი — ტორი; ერთად შეკრული საწერი ქაღალდი — რვეული; ლოგინის ატრიბუტი — ლეიბი; ცეცხლის ენა — ალი; გამარჯვობა — სალამი; საზაფხულო კარავი — ალაფორჩი; კისრის ნაწილი — ყელი; ფარის წინამძღოლი — ყორჩი; ნაყინი — ესკიმო; კონკურსი — ქასტინგი; მავთავა ჩიტი — ასპუჭაკა; გამადიდებელი შუშა — ლუპა; კამფეტის სახეობა — დრაჟე; ერთხმანი სიმღერა — სოლო; ხერხემლის ნაწილი — მალა; კავშირგაბმულობის ტერმინი — ალო; დასარტყმელი ინსტრუმენტი — დოლი; პატარა მტაცებელი ფრინველი — ალალი; მავთული — სინა; თბილისური ჟარგონი — ტო; .. სკორცენი — ოტო; ქალის სახელი — ლია; ყმა გლეხთა უმდაბლესი ფენა — მოჯალაბე; ხეებარი — საპყარი; მეამწის ტერმინი — მანა.

ქალაქი ოზურგეთი

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი“ №1-2

რუბრიკას უძღვება მანანა მემარნიშვილი
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის სამუზეუმო საქმის სპეციალისტი

თვითონ დე კასტელის გადმოცემით: „რამდენადაც ქრისტიანული კულტურა მატულობდა იმდენად ღვთის განგება იზრდებოდა გურიაში, ისე როგორც მთელ კოლხეთში, როცა მალაქიამ დაინახა, რომ ჩვენი მისიონერების გავლენით ღვთის კულტურა იზრდებოდა სადადიანოში ჩვენს მიმართ თავისი დამოკიდებულობა შეცვალა. ოზურგეთში თავისი პალატის მახლობლად ჩვენს პატრებს დაუდგა სახლი, ხშირად მოდიოდა მათთან და დიდი ცნობისმოყვარეობით ისმენდა წირვას“. „პატრიარქმა, - აღნიშნავს კასტელი სხვა ადგილას, - საკუთარი სახლის წინ, სადაც მეტწილად ცხოვრობდა სხვა სახლში დაგვაბინავა“.

ზემოთხსენებული ევროპული მონეტების განძი ერთადერთი როდია, რომლებიც კათოლიკე მისიონერების ცხოვრების კვალს გვიდასტურებს ძველი ოზურგეთის (სერის უბნის) მიდამოებში.

1984 წლის ზაფხულში სერის უბნის მიდამოებში ე. წ. „ღობის სამუშაოების“ დროს კვლავ იჩინა თავი ანალოგიური მონეტების მნიშვნელოვანმა რაოდენობამ (დაახლოებით 20 კგ), მაგრამ ამის გამო, რომ ამ განძის შემადგენელი თითოეული მონეტა, დღეისათვის იმხანად „საავგაროზედ“. „ბეჭდებათ“ და “საფეთქელსაკიდებლად“ გაიყიდა ორმცდაათ მანეთად „სრულიად საიდუმლო ვითარებაში“, როგორც განძის აღმოჩენის ზუსტი ადგილმდებარეობის, ასევე მისი მფლობელების ვინაობის დადგენა ჯერჯერობით შეუძლებელი იქნა. ზემოთმოხსენებულ მიდამოებში ვერცხლის მონეტების განძის ესოდენ დიდი რაოდენობით აღმოჩენა, დაახლოებით 28 კგ. წონისა და 10-00-ზე მეტი ერთეულისა, გადაჭარბებულად არ უნდა მოგვეჩვენოს, რადგან მისიონერები პერიოდულად იღებდნენ რომიდან როგორც ძვირფას ნივთებს, ასევე ფულად სახსრებსაც, რასაც ცხადყოფს დონ პიეტრო ავიტაბილეს მიერ 1629 წლის 28 მარტით დათარიღებული რომში გაგზავნილი წერილის შინაარსი: „გევედრებით ქრისტეს სახელით კეთილინებოთ და გამოგვიგზავნოთ რომელიმე ლამაზი საათი; რომელიც რეკავდეს და ფეხზე დადგეს, რამდენიმე ქრისტეს ჯვარცმა - კარგი ნამუშევარი ... მარჯნის რამდენიმე გვირგვინი; ქრისტეს, მადონას, წმინდა პეტრეს, წმინდა პავლეს, წმინდა გიორგის სურათები. პირველმღვდელმთავრის პორტრეტი, რამდენიმე კარგი მხატვრული ნამუშევარი, ვერცხლის მოოქროვილი ვაზა, ოქროსფერი ქსოვილი. აგრეთვე (ფულადი) დახმარება რათა შევძლოთ შევუდგეთ თუნდაც პატარა ეკლესიის აგებას, რომ არ დავაწვეთ იმ ღარიბ ხალხს, რომელიც მეტად გაჭირვებულად ცხოვრობს. მაშინ შევძლებთ შევასრულოთ ჩვენი უწმინდესი მოვალეობა დიდი ღირსების და უფრო მეტი ნაყოფის მიღების იმედით“.

ქართული ენის ბრწყინვალე მცოდნის, ანტონიო ჯარდინას მოღვაწეობა მალაქია გურიელის სასახლის კარზე მარტოოდენ ლოცვა-კურთხევითა და სასულიერო წრეებთან რელიგიურ თემებზე პაექრობით როდი ამოიწურებოდა. ანტონიო ჯარდინამ ოზურგეთში სათავე დაუდო კოლეჯის მსგავს კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ერთ-ერთი უძველესი საგანმანათლებლო კერაა ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში, რომლის წმინდა საკურთხეველზე ამ 360 წლის წინათ გზნებით ციალებდა ნათელი ლამპარი ცოდნისა და გაისმოდა ქვეყნის შეჭირვებისა და ძნელბედობის გამო სწავლას მოწყურებული ქართული სულის ღაღადისი.

...„იესო ქრისტე, გამიხსენ ყურები და თვალები გულისყოფისა ჩემისა, რათა შევითვისო სიტყვა შენი და ვისწავლო ნებისა შენისა აღსრულება“.

ანტონიო ჯარდინამ ეაჯა გურიის მღვდელმთავარს და შთააგონა, რომ „ერის კეთილდღეობისათვის აუცილებლად საჭიროა ბავშვების გაწვრთნა და მათი კარგად აღზრდა. მალაქიამაც, - აღნიშნავს მიქელ თამარაშვილი, პატრებს იქვე, “(ე.ი. ოზურგეთში) თავის პალატის მახლობლად თვითონვე დაარსებინა სკოლა და რამდენიმე ბავშვი მისცა გასაწვრთნელად. პატრებმაც შემოიკრიფეს აქა იქიდან ბავშვები, მეტადრე ისინი რომელთა თათრებზე გაყიდვა შეეძლოთ მშობლებსა. დაუწყეს მათ სწავლება სასულიერო თუ სახორციელო საქმეებისა“.

ჩვენთვის უკვე ნაცნობი, ზემოხსენებული კლემენტო გალიანოს გადმოცემითაც, ანტონიო ჯარდინას დახმარებით პატრებმა მალაქია გურიელის სასახლის მახლობლად... „დაარსეს სკოლა, ბავშვები ზოგი თვით გამოართვეს მშობლებს, რომლებსაც ბავშვების აღზრდა არ შეეძლოთ, რათა იგინი თურქებისათვის მიეყიდნათ. ამათ დაუწყეს სწავლება საქრისტიანო და სამეცნიერო საგნებისა.

ძნელად წარმოსადგენია თუ რაოდენი მამობრივი სიყვარული უჩვენა იმ მთავარმა, რაოდენი მოწყალება უყო პატრებს, ესრეთი მფარველობდა მათ 7 წელიწადი. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გაუწია; მამების რიცხვი შვიდამდე მიიყვანა, მათ მუდამ პატივს სცემდა, ... მტრების წინააღმდეგ იფარავდა“.

ჯარდინას მიერ დაარსებულ სკოლაში ძველი ოზურგეთის მკვიდრმა ყმაწვილებმა შესანიშნავად აითვისეს პატრების მიერ ნაქადაგები მოძღვრება, როგორც სასულიერო, ასევე სამეცნიერო სფეროში, სათანადო წყაროები მოწობს, რომ ანტონიო ჯარდინამ და დე კასტელმა „გურულების საოცარი ნიჭის მიზეზით დააპირეს რამოდენიმე ყმაწვილი იტალიაში გაეგზავნათ, რათა იქ მაღალი სწავლა მიელოთ და შემდგომ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ მამულში საშრომლად, მაგრამ მისიონერები მტრებს მოერიდნენ, იქნებ ხალხში ხმა გაავრცელონ და თქვან, რომ პატრებმა ყმაწვილები თათრებს მიჰყიდესო. ამის გამო ყმაწვილები ევროპაში აღარ გაგზავნეს“.

წინამდებარე ცნობებთან ურთიერთშესაკავშირებლად, გურულების ნიჭიერებაზე, რასაც ესოდენ ხაზგასმით აღნიშნავდნენ პატრები, იმთავითვე გვაგონდება გრიგოლ რობაქიძის „გურია და სოციალიზმი“, სადაც აღნიშნულია:

„გურულს არ უყვარს“გრაგნილი“, „სიკორძე“ ... მისი გენია უფრო პლასტიკურ ზოლებში იკვეთება, - და ხალხთა შორის გურული უფრო რომანულ რასას ენათესავება - კერძოდ ესპანელებს თავისი ქედმაღალი ტემპერამენტით. ერთადერთი დამაფიქრებელი გურულის ნიჭში შემდეგია: გურიაში თითქმის ყველა ნიჭიერია: აქ არის უფრსკული გათხრილი პიროვნებასა და მასას შორის; ჩემი პირადი მოსაზრება ამგვარია: გურულის ნიჭი ჯერ კიდევ მემკვიდრეობის პოტენციალით იშლება, და მისთვის გურიაში თითქმის ნიჭიერნი არიან ყველანი.“...

ვაანალიზებთ რა კლემენტო გალინოს ზემოხსენებულ ცნობებს, მივუთითებთ:

ადვილი წარმოსადგენია, თუ არა გურიის სამთავროს ესოდენ დიდი პოლიტიკური შეჭირვება და ძნელბედობა, რაოდენ დიდი შედეგი უნდა მოჰყოლოდა დე კასტელისა და ანტონიო ჯარდინას ამ დიდსა და კეთილშობილ განზრახვას, რათა ერთი მცირე ნაწილი ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის ღირსეული მამულიშვილებისა ზიარებოდა აღორძინებისა და მომდევნო ხანის ევროპული კულტურის უდიდეს მიღწევებს, გაცნობოდა ბოტიჩელის, ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოს, რაფაელის, ტიციანის, რუბენსის, ვანდეიკის „მარად ცოცხალი ხელოვნების“ უკვდავ ქმნილებებს.

თეათინელი ძმების გადმოცემანი ცხადყოფს, რომ „პატრმა ანტონიო ჯარდინამ კარგად იცოდა ქართული ენა, როგორც ლამბერტი მოწმობს, როგორც დედაენას ქართულს ისე ლაპარაკობდა. იმან შეადგინა ქართული გრამატიკა და დაწყებინა ყმაწვილებს მისი შესწავლა. ყმაწვილები დაწინაურდნენ სწავლაში და ყველასათვის გასაოცარი შეიქმნენ.

მისიონერები ძლიერ აქებდნენ გურულების ნიჭიერებას და მათ მიერ ყველაფრის ადვილად ათვისების უნარს“.

ეროვერ გოგუაძე

საშა ობოლაძის ტერორი გურიაში და გოგია ღლონტის ბახმაროს რაზმი

ხეში ბაბუასთვის მაუზერი თავში ჩაურტყამთ და კბილები ჩამოუყრიათ..

ბაბუა კი გამოუშვეს ციხიდან, მაგრამ საშა ობოლაძის ცხენოსანი რაზმი კვლავ ამოვიდა უკანავაში. ნალიას ქვემოდან ჭერი ახადეს და სიმინდს ცხენებს აჭმევდნენ.

ბაბუას უთქვემს საშა ობოლაძისთვის, სტალინს მივწერ თქვენი ძალადობის შესახებო. ობოლაძეს უბრძანებია რაზმისთვის „ატსტავიტ!“

გოგია ღლონტი საშა ობოლაძეს უთვლიდა: „თუ გინდა ცოცხალი გადარჩე, დატოვე ოზურგეთი და წადიო,“ მაგრამ ისინი ტერორს აძლიერებდნენ. ობოლაძის რაზმმა სოფელ ქაქუთში ხავთასების ოჯახი ააწიოკეს, გადაუწყვეს სახლ-კარი და ბორკილდადებული ხალხი ოზურგეთში წამოიყვანეს.

ქ. ოზურგეთის შემოსავლელთან, ლიხაური-ექადია-ანასეულის გზაგასაყართან ობოლაძის რაზმს გოგია ღლონტი 50-კაციან რაზმთან ერთად ჩაუსაფრთდა. გოგია ღლონტმა ესროლა ობოლაძეს, მაგრამ ვერ მოკლა. ობოლაძემაც ესროლა და გოგია მხარში დაჭრა. გოგია ღლონტმა ბომბი ესროლა ეტლში მსხდომთ, ობოლაძე და მისი თანხმლებები ჩუბინიშვილი, სანიკიძე დაიღუპნენ.

ჩეკა სატიკად გაუსწორდა არსებული ხელისუფლების მოწინააღმდეგეებს და საეჭვო პირებს.მოიდანახის სასაფლაოზე მშობლების თვალწინ დახვრიტეს არასრულწლოვნები ილია, პლატონ ხავთასები.

რეპრესიების ტალღა მთელ ოზურგეთს გადაუარა. ექადია-ლიხაურის გზასაყარზე, ზვანში უამრავი ადამიანი დახვრიტეს: სოფლის პედაგოგები, გლეხები, სრულიად უდანაშაულო ადამიანები. დახვრეტილთა შორის მთისპირლებიც იყვნენ: მამა კი გადარჩა, მაგრამ უმცროსი ძმა, 19 წლის ილია თალაკვაძე წაიყვანეს. ასევე ჩეკას რეპრესიების მსხვერპლი გახდნენ უკანაველები: პანტელეიმონ ვაშალომიძე (ცნობილი მეტყევის, აწ გარდაცვლილ ზალიკო ვაშალომიძის ბაბუა); კოწია კვარაცხელია, ანდრო ლომიძე...

მართალია გოგია ღლონტის რაზმის წევრები მოუხელთებლები იყვნენ, მაგრამ გამცემმა ჩეკას ბიძაჩემი სიმონ თალაკვაძე მოაკვლევინა.

1923 წლის 12 თებერვალს ჩეკას მიერ გადაბირებულმა გამცემმა სადილი აუტანა დიდნაშავში („სამტრედე“) სიმონს და ჩეკას აცნობა. ჩეკისტები ბიძაჩემს ჩაუსაფრთდნენ.

ჩეკისტებმა ესროლეს და მძიმედ დაჭრეს. ბიძაჩემი გაქცეულა. ჩეკისტები შიშით დაჭრილს ვერ გამოეკიდნენ, რადგან მაგარი მსროლელი იყო. მეორე დღეს გავიდნენ საძებრად. ხედავენ სიმონა ნაბადში გაეხვეული , ხის მორთან დაწოლილა, ხელი ხეზე დაუდვია და მაუზერი უკავია ხელში. ჩეკისტები ვერ ბედავდნენ ხესთან მიახლოებას, რადგან დაჭრილის მაუზერს ხედავდნენ. შემდეგ დარწმუნდნენ, სიმონი გარდაცვლილი იყო და მას შემდეგ მიუახლოვდნენ გვამს.

მიცვალებული გადმოუბრუნებიათ და თვალებბრიალა, პირფართე ვაჟკაცი ნაბადზე დაუსვენებიათ. ერთ ტუტუც კაფანდარა მილიციონერს მისი შეურაცხყოფა მოუნდომებია. აქვე ყოფილა მაშინდელი მილიციის უფროსი სტეფანე სოსელია, რომელიც ჩვენი სოფლიდან იყო და მას ისეთი დაურტყამს მილიციელისათვის, რომ ძლივს ამოუყვანიათ ღელიდან. სოსელიას მილიციონერისათვის უთქვამს: „ამ დროს რა ვუთხრა, თორემ ამფერ ვაჟკაცებს შენისთანები ძილშიც ვერ გაეკარებოდნენო...“

მაშინ მიცვალებულს ოჯახს არ აძლევდნენ დასამარხად, მაგრამ სოსელიას ჩუმათ ოჯახისთვის მიცვალებულის სახლში წასვენების უფლება მიუციათ ეს ის დრო იყო, როცა უფროსი ბიძა ბაგრატი პირველი მსოფლიო ომიდან გრემანელებს ჰყავდათ ტყვედ და არ იყო გათავისუფლებული, ბაბუა ოზურგეთის ციხეში, მამაჩემი –თბილისის ციხეში.

მამიდებმა ნონიამ, ლიზიკომ, შუტუმ და ვერიჩკამ ჩაიცვეს შარვლები, დაიხმარეს ახლო მეზობლები ინწკირველები და ღამით ჩამოასვენეს ბიძაჩემი სახლში. ინწკირველებმა ხის ყუთი შეჭედეს, ბებიამ ღამით ჩუმად გაათხრევინა საფლავი მეზობლებს ეზოში, გორაკზე, სადაც ბიძაჩემი, სიმონ თალაკვაძე დამარხეს.

ამის შემდეგ მამა ციხიდან გამოუშვეს.

ბაბუა თურმე 900-იან წლებში დახმარებია იოსებ ჯუღაშვილს მთისპირიდან ხიდისთავში გადასვლაში და ბელადს თავი შეახსენა და წერილი მისწერა. იგი წერდა, რომ მოხუცებულობაში მარტო დარჩა და იქნებ დახმარებოდა უფროსი ვაჟის, ბაგრატის ტყვეობიდან დახსნაში...სტალინმა 30 მანეთი გამუგზავნა ბაბუას და ბიძაჩემი, 17 წლის ტყვეობაში ყოფნის შემდეგ სახლს დაუბრუნდა.

გოგია ღლონტი მეუღლესთან ერთად თურქეთის გზით საფრანგეთში გადავიდა და იქ გარდაიცვალა.

* * *

როგორც ვწერდი 63 წელი სიყვარულითა და ერთგულებით ვიცხოვრე ჩემს მეუღლესთან, ვანისქედელ ციალა წულაძესთან ერთად. ოჯახი რომ შევქენით, თავდაპირველად ვანისქედში დავსახლდით. 1971-72 სოფელ მთისპირის ცენტრთან ახლოს, თალაკვაძეების უბანში ავაგეთ ორსართულიანი კაპიტალური სახლი, რომელიც 1989 წელს წამოსულმა მეწყერმა დაგვინგრია. მას შემდეგ სოფელ ბოხვაურში ვცხოვრობ. მეუღლე სამი წლის წინ გარდაიცვალა.

2011 წლის 17 აპრილს, ქალაქ თბილისში, სამების საკათედრო ტაძარში თალაკვაძეთა გვარის წარმომადგენლებმა მოიყარა თავი. მოხდა თალაკვაძეთა საგვარეულოს კურთხევა. მე, საგვარეულოს „მემატიანეს“ ტიუტული მერგო. მგონი ვამართლებ კიდეც. 2013 წელს ჩემი ლექსების კრებული გამოიცა –გვითხრა ნოდარ თალაკვაძემ.

ნუგზარ ასათიანი

რეპორტაჟი ბახმაროდან

პირველად საქართველოს უახლოეს ისტორიაში „კალანდობა 2018“ ჩვენმა გუნდის „გააცოცხლე გურია“ (**Agile Guria**) წევრებმა გავაცოცხლეთ ბახმაროში! რა თქმა უნდა, კალანდას ტრადიციის შესაბამისად!

კნუტ გერბერი, გოგა გოგიჩაიშვილი, სოსო ერქომაიშვილი, ზვიად ელიზიანი, ზვიად მამალაძე,კობა დუნდუა, ბაკურ პართენაძე, ლევან სიხარულიძე, ნოდარ გიორგაძე მიუვალი გზა გერმანელი ინვესტორის ინგო შლუციუსის „**Ingo Schlutius**“ დახმარებით გადავლახეთ, რომელიც უკვე მეორე წელია ბახმაროს აცოცხლებს ზამთარში ექსტრიმის მოყვარული სპორტსმენეისთვის, რომლებიც მსოფლიოს ყველა წერტილიდან ჩამოდიან! „**WhiteHearts**“ კოტეჯის წინ სპონტანურად მოწყობილ სუფრასთან მივირთვით... განწყობას „ გურიელი - საშობაო ჩაი "პრინცი გურიელი", „ანასეული ოტკა„„ •ღვინო „ ასკანელი ძმები“, „ჩხავერის ჭაჭა", **Rauch Fruchtsafte "rauxis"** წვენები და რა თქმა უნდა სკიჯის სახლი ჩირები გვიმაღლებდა.

საღამოს დამღლელი სრიალის შემდეგ, უცხოელი სტუმრები დაბრუნდნენ ინგოს სასტუმრო სახლში. შესასვლელთან სადეგუსტაციო მაგიდა გვქონდა მოწყობილი გურული პროდუქტების გასაცნობად, რომლის პრეზენტაციასაც კნუტ გერბერმა,როგორც ყოველთვის, წარმატებით გაართვა თავი. საღამოს სუფრა კი ჩვენი ტრადიციების თანახმად კობა დუნდუამ ჩვენი მასპინძელი ამჯერად ზვიად მამალაძის ოჯახია. კოტეჯში ყველა საჭირო ნივთი დაგვხვდა ღამის გასათევად, რომლისაც ბახმაროს მთებზე მითების წყალობით ძალიან გვეშინოდა...:

14 იანვარის დადგომამდე, ღუმელი დაინთო და სუფრაც გაიშალა ულამაზეს ჩიჩილაკთან ერთად! 00:00 კალანდის დადგომის დალოცვის შემდეგ, მასპინძელმა ზვიად მამალაძემ თოფი გაისროლა და 2018 წლის დადგომა 2050 მეტრი სიმაღლის უნიკალური სოფლიდან მივულოცეთ ჩვენს საქართველოს, ჩვენს საყვარელ მხარეს და მთელ მსოფლიოს!

კალანდის დილა დავიწყეთ ნაბეღლავის დალევით და ჩვენი უცხოელი 25, ექსტრემალი სტუმრის გაცნობით. მათთან ერთად მოვინახულეთ ის ადგილები, საიდანაც გაუკვალავ, ფაფუკ თოვლზე 2700 მეტრი სიმაღლიდან ეშვებიან! ბუნების სილამაზემ და თოვლის ხარისხმა ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა. თავი ნამდვილ ზღაპარში გვეგონა. მზიანი ამინდის წყალობით შუადღის სადილი ჩვენს ოთხფეხა მეკვლეებთან ერთად თამადობით გააცოცხლა. ინგოს ადგილობრივი დამხმარე გურულების წყალობით სუფრას ჩიტის რძეც არ აკლდა! მადლობა ყველას.: ღამით, სანამ თოვა დაიწყებოდა და გზა სპეციალური ტექნიკისთვისაც გაუვალი გახდებოდა, დავბრუნდით ბარში...

ყველას გილოცავთ ახალ 2018 წელს! მშვიდობას, გამთლიანებას, ჯანმრთელობას, სიყვარულს, სიკეთეს, ბედნიერებას და, რა თქმა უნდა მატერიალურ კეთილდღეობას გისურვებთ! დიდი მადლობა ყველა გულშემატკივარს და განსაკუთრებული მადლობა აჭარის ტელევიზიას.

სოსო ერქომაიშვილი,
პროექტ „გააცოცხლე გურიას“
საინიციატივო ჯგუფის წევრი,

ვულოცავთ!
შპს „გზამშენი 18“-ის უფროსს, ცნობილ საგზაო ინჟინერს თემურ ჯახვას საქართველოს საპატიო მეგზევის ნოდება მიენიჭა.

ქართული კალათბურთის ლეგენდის პატრონაჟით!

ნუკრი ნიკოლაიშვილი

სანდრო ვაშალომიძე და გელა დარსაძე

ბავშვობაში, აბა, ვის არ უოცნებია თავბრუდამხვევ სპორტულ კარიერაზე.

ქვედაბახველ სანდრო (სანდულა) ვაშალომიძეს პატარაობიდანვე უწინასწარმეტყველებდნენ საშურ სპორტულ მიღწევებს, რასაც მისი გიგანტური აღნაგობა და ამასთანავე, დაუჯერებელი სისხარტე განაპირობებდა.

ბიჭუნა თავიდანვე უჩვეულო სიმაღლით იპყრობდა საყოველთაო ყურადღებას. ამასთანავე, ნიჭიერებითა და სიბეჯითითაც გამოირჩეოდა.

მშობლების ზრუნვა-მოწადინებითა და შინაურების დაჟინებული რჩევით, 15 წლის ბიჭუნას საკალათბურთო კარიერა მართლაც თავბრუდამხვევად წარიმართა.

იგი დიდ კალათბურთს 1976 წელს ეზიარა და სპორტის ამ სახეობაში 1983 წლამდე თავდაუზოგავად ირჯებოდა.

აქ ისიც სათქმელია, რომ ტანმაღალი ბიჭუნა დედაქალაქის სპორტსკოლაში სწავლის პერიოდში, სპორტული შემართებით ტოლს არ უდებდა იმ აღსაზრდელებსაც, რომლებიც სპორტსკოლაში 5-6 წლით ადრე ჩაირიცხნენ.

მალე სანდულამ ჭაბუკთა საკავშირო ნაკრების მაისურიც მოირგო.

თავიდან „დინამოელთა“ ღირსებას იცავდა, ხოლო მერე „ბურევესტნიკში“ გადაბარგდა.

აქ ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იმხანად იმედისმომცემი ჭაბუკის ბედით ლეგენდარული ქართველი მწვრთნელი ოთარ ქორქია დაინტერესდა და იმედის მომცემი ყმაწვილისადმი მამაშვილურ მზრუნველობასაც ხშირად იჩენდა ხოლმე.

იმხანად პოლიტექნიკურ სასწავლებელში სწავლობდა და მისთვის საგამოცდო შეღავათიც (ე. წ. საგამოცდო გრაფიკი) კი შეადგინეს...

თავისი სპორტული ბიოგრაფიიდან მეტადრე იმ ხასიათურ ეპიზოდს იხსენებს, როცა (მაშინ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა) ერთ-ერთი ლექტორი გადაეკიდა და კიდევაც ემუქრებოდა, ნიშანს არ გაღირსებო... მაშინ, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, თანაგუნდელთა რჩევით, საშველად ისევ ლეგენდარულ ოთარ ქორქიას მიმართა... კალათბურთის ლეგენდაც არ დაზარდა და ინსტიტუტში გაჰყვა... ჰოდა, აბა გენახათ კათედრაზე მრავლად შეკრებილთა გაოცებული და გაფაციცებული სახეები...

სანდროსთან ახლაც ოჯახებით მეგობრობენ მისი ყოფილი თანაგუნდელები და გულითადადაც მოიკითხავენ იური პულავსკი, პაატა გურასპაული (რომელიც ახლახან საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს), გელა დარსაძე, ზურაბ ტომარაძე და მრავალი სხვა (ყველას, აბა, ვინ ჩამოთვლის)...

ახლაც წრფელი დანანებით იხსენებს საწუთროდან უდროოდ წასულ მიშა ქორქიას...

მის უნიკალურ სპორტულ ფენომენზე თუნდაც ის გარემოებაც მეტყველებს, რომ მას ხშირად სთავაზობდნენ არჩეული სახეობა შეეცვალა და თავისი შესაძლებლობანი სპორტის სხვა სახეობაში მოესინჯა (ფეხბურთში, ხელბურთსა ან რაგბიში) და ამგვარი მაცდური წინადადებით მას არაერთხელ მიმართეს საიქადულო ხელბურთელებმა, რაგბისტებმა და ფეხბურთელებმაც კი...

მასთან გულითად მეგობრობას ახლაც აგრძელებენ ქართული სპორტის აღიარებული კორიფეები...

ბავშვობის დროინდელი მოგონებებიდან მეხსიერებას ის ეპიზოდი შემორჩა, როცა სანდროს სოფელში ცნობილი საბჭოთა ფეხბურთელი ვიქტორ პონედელნიკი ეწვია... მაშინ მთელი სოფელი (დიდიან-პატარიანად) მათ სანახავად გამოეფინა!..

აქ ისიც უსათუოდ აღსანიშნავია, სანდულას და მზია ვაშალომიძე ბახვის საშუალო სკოლის დირექტორია.

ოთარ ქორქია შეგირდებთან. მეორე რიგში მარცხნიდან მეორე სანდრო ვაშალომიძე

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +4+12	მცირე წვიმა +2+7	ღრუბელი +1+4	მზე, ღრუბელი +1+2	მზე, ღრუბელი +2+5	მცირე თოვლი 0+3	მცირე თოვლი +1+2
22 იანვარი ორშაბათი	23 იანვარი სამშაბათი	24 იანვარი ოთხშაბათი	25 იანვარი ხუთშაბათი	26 იანვარი პარასკევი	27 იანვარი შაბათი	28 იანვარი კვირა